



მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური
ბიუჯეტის შესრულების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით

2017 წელი

შინაარსი

1.ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები.....	3
2.რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა აგრეგატულ დონეზე.....	4
3.შემოსავლების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა.....	5
4. საგადასახადო შემოსავლები	6
5. გრანტები.....	7
6. სხვა შემოსავლები.....	8
7. დივიდენდი.....	9
8. არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების შედეგად მისაღები შემოსულობების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა.....	11
9. მხარჯავი დაწესებულებების მიერ ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები	12
10. გადასახდელები.....	13
11. ხარჯები.....	14
12. არაფინანსური აქტივების ზრდა	16
13. ფინანსური აქტივების ზრდა.....	16
14. ვალდებულების კლება	16
15. გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია.....	16
16. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია	17
17. საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები.....	18
18. საბიუჯეტო ორგანიზაციებში დაგეგმვისას არსებული ხარვეზები.....	19
19. შრომის ანაზღაურება.....	20
20. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთვარობის სარეზერვო ფონდი.....	21
21. რეკომენდაციები	24

1. ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები

მოხსენების
სამართლებრივი
საფუძვლები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 137-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.

მოხსენების
დოკუმენტური
საფუძვლები

მოხსენების მოსამზადებლად გამოყენებულია: ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მოხსენება 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ; ბ) მხარჯავი დაწესებულებების (სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვ.) მიერ მომზადებული ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების დოკუმენტები; გ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების მასალები და დასკვნები.

რესპუბლიკური
ბიუჯეტის
შესრულების
მიმდინარეობის
შესახებ ანგარიშის
მომზადებაზე
პასუხისმგებლობა

რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელნი არიან ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები. რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია შესაბამისი მხარჯავი დაწესებულება.

სახელმწიფო
აუდიტის
სამსახურის
პასუხისმგებლობა

მოხსენების სამართლებრივი საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების შესახებ ინფორმაციის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიშში ასახვის სიზუსტესა და სისრულეს, ასევე ხარჯების კანონიერებას.

ზოგადი შეფასება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მოხსენებაში მოცემული საკითხების გარდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშში მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.


2. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა აგრეგატულ დონეზე

2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის მიხედვით შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლები, შესაბამისად, 215 465,0 ათასი ლარისა და 193 267,0 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს განხორციელებული ცვლილებით, შემოსულობების მოცულობა 49 740,0 ათასი ლარით გაიზარდა, ხოლო გადასახდელების მოცულობა 38 617,2 ათასი ლარით შემცირდა. 2016 წლის საბალანსო მონაცემებით, შემოსულობების ჯამური მაჩვენებელი 220 921,0 ათას ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის 102,5 პროცენტია, ხოლო გადასახდელების ფაქტობრივი შესრულება 186 090,6 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა, რაც წლიური გეგმის 96,3 პროცენტია.


		წლიური შესრულება	წლიური გეგმა	წლიური გეგმა (ცვლილება)	წლიური გეგმა (%)	წლიური გეგმა, (ცვლილება) %
შემოსულობები	2015	199 370,6	154 325,0	170 292,9	129,2%	117,1%
	2016	220 921,0	165 725,0	215 465,0	133,3%	102,5%
გადასახდელები	2015	170 031,4	175 325,0	183 639,0	97,0%	92,6%
	2016	186 090,6	231 884,2	193 267,0	80,3%	96,3%

ცხრილი N1. 2016 წლის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმასთან მიმართებაში (ათასი ლარი).

შემოსულობებისა და გადასახდელების ცალკეული კომპონენტების შესრულების წილი, ბიუჯეტის კანონით (ცვლილება) განსაზღვრულ მაჩვენებლებთან მიმართებაში, 2015-2016 წლებისათვის წარმოდგენილია N1 და N2 დიაგრამაზე.



დიაგრამა N1. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების კომპონენტების შესრულების მაჩვენებლები(%).



დიაგრამა N2. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების კომპონენტების შესრულების მაჩვენებლები(%).

რესპუბლიკურ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შედეგად, 2016 წლის შემოსულობების გეგმური მაჩვენებელი, თავდაპირველ პარამეტრთან მიმართებით, 23,1 პროცენტით გაიზარდა, რაც საბიუჯეტო პარამეტრების არარეალისტურ დაგეგმვაზე მიუთითებს. აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია ყურადღება გამახვილდეს გასულ წლებში შემოსულობების შესაბამის კომპონენტებში ფაქტიურად მიღებულ თანხებსა და რეგიონის ეკონომიკური ზრდის ტენდენციებზე.


3. შემოსავლების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა ფაქტობრივი შესრულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, 2016 წელს მიღებული შემოსავლები - 202 441,5 ათასი ლარი, წლიური ბიუჯეტით განსაზღვრული პროგნოზის 102,9 პროცენტს შეადგენს და 11,6 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

შემოსავლების კომპონენტები	2016 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა (ცვლილება)	ფაქტიური შესრულება	შესრულება (%)	შესრულება (ცვლილება) %
საგადასახადო შემოსავლები	140 000,0	180 000,0	185 370,9	132,4%	103,0%
გრანტები	0	500,0	500,0		100%
სხვა შემოსავლები	7 725,0	16 275,0	16 570,6	214,5%	101,8%
სულ:	147 725,0	196 775,0	202 441,5	137,0%	102,9%

ცხრილი N2. რესპუბლიკური ბიუჯეტის 2016 წლის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი).

შემოსავლების სტრუქტურაში უდიდესი წილი საგადასახადო შემოსავლებზე მოდის, რაც მთლიანი შემოსავლების 91,6 პროცენტს წარმოადგენს. შემოსავლების სტრუქტურის განაწილება შემდეგნაირად გამოიყურება:



დიაგრამა N3. 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლების კომპონენტების განაწილება (%).

შემოსავლის სახით მობილიზებული ჯამური სახსრები გასული წლების ანალოგიურ მაჩვენებელს, შესაბამისად, 29,2 პროცენტით (2014 წელთან მიმართებაში - 45 736,5 ათასი ლარი) და 10,7 პროცენტით აღემატება (2015 წელთან მიმართებაში - 19 621,9 ათასი ლარი).

შემოსავლების კომპონენტები	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	ზრდის ტემპი 2014-2015 წწ.	ზრდის ტემპი 2015-2016 წწ.
საგადასახადო შემოსავლები	143 763,4	167 384,7	185 370,9	23 621,3	17 986,2
გრანტები	2 095,3	5 788,6	500,0	3 693,3	-5 288,6
სხვა შემოსავლები	10 846,3	9 646,3	16 570,6	-1 200,0	6 924,3
სულ:	156 705,0	182 819,6	202 441,5	26 114,6	19 621,9

ცხრილი N3. 2014-2016 წლებში შემოსავლების შესრულების დინამიკა (ათასი ლარი).

4. საგადასახადო შემოსავლები

2016 წლის განმავლობაში რესპუბლიკურ ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად, საგადასახადო შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი 40 000,0 ათასი ლარით გაიზარდა და 180 000,0 ათასი ლარის დონეზე დაფიქსირდა. საგადასახადო შემოსავლების (საშემოსავლო გადასახადი) მოცულობამ 2016 წელს 185 370,9 ათასი ლარი, ანუ 2016 წლის გეგმის 102,9 პროცენტი შეადგინა და

2015 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 10,7 პროცენტული პუნქტით, 17 986,2 ათასი ლარით გადააჭარბა.

საშემოსავლო გადასახადის დეტალური დინამიკა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	2013	2014	2015	2016	ზრდის ტემპი 2013- 2014 წწ.	ზრდის ტემპი 2014- 2015 წწ.	ზრდის ტემპი 2015-2016 წწ.
საშემოსავლო გადასახადი	133 750,9	143 763,4	167 384,7	185 370,9	7,5%	16,4%	10,7%

ცხრილი N4. 2013-2016 წლებში საგადასახადო შემოსავლების შესრულების დინამიკა (ათასი ლარი).

5. გრანტები

2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველ კანონში გრანტების სახით შემოსავლების მიღება არ იყო გათვალისწინებული. ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შედეგად, გრანტების სახით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 500,0 ათასი ლარით განისაზღვრა. კერძოდ, 2016 წლის ციტრუსის სეზონის მოსავლის აღების ღონისძიებათა ხელშეწყობის და მეციტრუსეობის დარგში დასაქმებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და მიღებული იქნა 500,0 ათასი ლარი. გრანტების მუხლით მიღებული შემოსავლების უფრო დეტალური დინამიკა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

გრანტები	2013	2014	2015	2016	ზრდის ტემპი 2013- 2014წწ.	ზრდის ტემპი 2014- 2015 წწ.	ზრდის ტემპი 2015- 2016 წწ.
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	12 000,0	0	4 486,4	500,0	0	0	-88,9%
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	8 905,3	2 095,3	1 302,2	0	-76,5%	-37,9%	0
სხვა სპეციალური ტრანსფერი	241,4	0	0	0	0	0	0
ჯამი	21 146,7	2 095,3	5 788,6	500,0	-90,1%	176,3%	-91,4%

ცხრილი N5. 2013-2016 წლებში გრანტების სახით მიღებული შემოსავლების შესრულების დინამიკა (ათასი ლარი).


6. სხვა შემოსავლები

2016 წლის ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 7 725,0 ათასი ლარით განისაზღვრა. კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სხვა შემოსავლების საბიუჯეტო გეგმა 8 550,0 ათასი ლარით გაიზარდა და 16 275,0 ათასი ლარი შეადგინა. 2016 წელს სხვა შემოსავლების მუხლით მობილიზებული სახსრების ოდენობამ 16 570,6 ათასი ლარი, გეგმის 101,8 პროცენტი შეადგინა. სხვა შემოსავლების სახით მიღებული შემოსავლების უფრო დეტალური დინამიკა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

სხვა შემოსავლების კომპონენტები	2015 წელი	2016 წელი	ზრდის ტემპი 2015-2016 წწ.	შესრულება გეგმურ მაჩვენებელთან
შემოსავლები საკუთრებიდან	6 292,1	14 580,6	131,7%	100,9%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	584,1	672,0	15%	102,9%
საჩქეიები (ჯარიმები და საურავები)	347,6	114,3	-67,1	114,3%
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	2 422,5	1 203,6	-50,3%	112,8%
სულ:	9 646,3	16 570,6	71,8%	101,8%

ცხრილი N6. 2015-2016 წლებში სხვა შემოსავლების შესრულების დინამიკა (ათასი ლარი).


2016 წელს მობილიზებული სხვა შემოსავლების შემადგენელი კომპონენტების წილობრივი გადანაწილება წარმოდგენილია დიაგრამაზე:



დიაგრამა N4. რესპუბლიკური ბიუჯეტის სხვა შემოსავლების კომპონენტების განაწილება (%).

7. დივიდენდი

ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგებიდან, ბიუჯეტში მისამართი დივიდენდების წლიური გეგმა, 2016 წლის ბიუჯეტის კანონით (ცვლილება) 1 600,0 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა და 400,0 ათასი ლარით გაიზარდა გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. 2016 წელს დივიდენდების სახით რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლებმა 1 605,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 100,3 პროცენტია და 287,5 ათასი ლარით აღემატება 2015 წლის მაჩვენებელს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოებიდან, დივიდენდის გადამხდელი საწარმოების რიცხვი 8 ერთეულამდე შემცირდა¹, საიდანაც 5 საწარმოს² მიერ გადახდილი დივიდენდის საერთო წილი 97 პროცენტს შეადგენს.



დიაგრამა N5. მიღებული დივიდენდების დინამიკა (ათასი ლარი).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების შესაბამისად, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საწარმოთა დებიტორული დავალიანება 20 429,7 ათას ლარს, ხოლო კრედიტორული დავალიანება 12 979,3 ათას ლარს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული თანხებიდან დებიტორული დავალიანების ნაწილში 2 795,7 ათასი ლარი,

¹ 2015 წელს დივიდენდი გადახდილი აქვს 10 საწარმოს.

² შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“ – 114,5 ათასი ლარი, შპს „ბათუმის N1 პოლიკლინიკა“ – 163,8 ათასი ლარი, შპს „რესპუბლიკური კლინიკური ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო“ – 174,3 ათასი ლარი, შპს „ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“ – 105,0 ათასი ლარი, სავაჭრო ცენტრი 2009 – 1000,0 ათასი ლარი.

ხოლო კრედიტორული დავალიანების ნაწილში 675,2 ათასი ლარი, არაიდენტიფიცირებული დავალიანებაა, რომლებიც წლების განმავლობაში ირიცხება საწარმოთა ბალანსებზე.

➤ აუდიტის პერიოდში მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, არასათანადო არგუმენტაციით, საწარმოთა 2015 წლის წმინდა მოგებიდან 441,4 ათასი ლარი არ იქნა განაწილებული დივიდენდის სახით, კერძოდ:

შპს „ჰიგიენა 2009-ის“ და შპს „სტადიონის“ წმინდა მოგება, შესაბამისად 184,7 ათასი ლარი და 93,0 ათასი ლარი, დატოვებული იქნა საწარმოებში, იმ პირობით, რომ ის შეიძლება განაწილებული იქნეს დივიდენდის სახით მომდევნო წლებში, ხოლო შპს „N1 პოლიკლინიკის“ 2015 წლის წმინდა მოგების - 163,7 ათასი ლარის განაწილების თაობაზე გადაწყვეტილება აუდიტის პერიოდში არ არის მიღებული. აღსანიშნავია, რომ შპს „ჰიგიენა 2009-ის“ და შპს „სტადიონის“ 2015 წლის ფინანსური მოგება, არა სამეურნეო საქმიანობამ, არამედ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან საწესდებო კაპიტალის შევსების მიზნით გამოყოფილი საბიუჯეტო თანხების, კომერციულ ბანკებში, სადეპოზიტო ანგარიშებზე განთავსებისათვის (შპს „ჰიგიენა 2009“ – 8 041,2 ათასი ლარი, შპს „სტადიონი“ - 18 137,8 ათასი ლარი) მიღებულმა პროცენტებმა, ანუ არასაოპერაციო შემოსავლებმა განაპირობა. წმინდა მოგების გაუნაწილებლად დატოვების არგუმენტად აღნიშნული საწარმოების ბიუჯეტიდან დაფინანსება სახელდება, რაც ვერ ჩაითვლება საბიუჯეტო თანხების არათავისდროული მიღების სათანადო არგუმენტად.

➤ საწარმოთა 2015 წლის დივიდენდის განაწილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად, 2016 წელს არ განხორციელდა 1 811,4 ათასი ლარის დივიდენდის სახით ბიუჯეტში მობილიზება. კერძოდ:

2015 წლის ფინანსური შედეგების გათვალისწინებით შპს „ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას“ და შპს „სავაჭრო ცენტრ 2009-ს“, დივიდენდის სახით ბიუჯეტში გადასახდელად განესაზღვრა, შესაბამისად 659,5 ათასი ლარი და 1 266,4 ათასი ლარი. 2016 წელს შპს „ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას“ გადახდილი აქვს 114,5 ათასი ლარი, ხოლო შპს „სავაჭრო ცენტრ 2009-ს“, 2015 წლის დივიდენდი არ აქვს

გადახდილი. სამინისტროს აღნიშნული თანხების მობილიზებისათვის ღონისძიებები არ განუხორციელებია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების შპს „ჰიგიენა 2009-ის“ და შპს „ნავსაყუდელი 2015-ის“ საქმიანობა. აუდიტის სამსახურის მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში ფინანსური აუდიტის ჩატარებისას გამოვლინდა შპს „ჰიგიენა 2009-ში“ სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობის - 5 004,2 ათასი ლარის, შესაძლო მითვისების ფაქტი, ხოლო შპს „ბათუმის ნავსაყუდელი 2015-ის“ 2015-2016 წლების ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები, აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში, ვერ იქნა წარმოდგენილი, რაც საწარმოს მიერ მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების რეალობის შესაძლო რისკებზე მიუთითებს.

აუდიტის სამსახურის შეფასებით, ადგილი აქვს კერძო სამართლის სუბიექტში საბიუჯეტო სახსრების არამიზობრივად გამოყენებისა და ბიუჯეტში თანხების არასრულად და არათავისდროულად მობილიზების ფაქტებს. შედეგად, სახელმწიფომ დაკარგა შესაძლებლობა დროულად და სრულად მიეღო შემოსავალი, რითაც შესაძლებელი იქნებოდა მისთვის პრიორიტეტული სფეროების სრულად დაფინანსება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ყველა საწარმოს (ფუნქციონირებადი თუ არაფუნქციონირებადი) აღრიცხვა და მათი აქტივების და პასივების შესახებ ინფორმაციის განახლება. ფუნქციონირებად საწარმოებში, თაღლითობისა და კანონთან შეუსაბამო საქმიანობის პრევენციის და საწარმოს მენეჯმენტის ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით, უნდა მოხდეს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების დანერგვა.

8. არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების შედეგად მისაღები შემოსულობების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა

არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული თანხების ოდენობამ 17 790,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2016 წლის საპროგნოზო მაჩვენებლის 98,8 პროცენტია და 1 471,8 ათასი ლარით მეტია 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

2016 წელს ძირითადი აქტივების პრივატიზების შედეგად მიღებულია 1 895,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 54,2 პროცენტია და 1 626,4 ათასი ლარით ჩამორჩება 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. არაწარმოებული აქტივების (მიწა) პრივატიზებით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი შესრულებულია 111,8 პროცენტით, ანუ გეგმა შესრულებულია 1 598,6 ათასი ლარის გადაჭარბებით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებში, მატერიალური მარაგების რეალიზაციის სახით ფიქსირდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში, თანაგადახდის პრინციპით, პროგრამით მოსარგებლე პირთა მიერ გადახდილი 746,2 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლების სახით მიღებული შემოსულობების უფრო დეტალური დინამიკა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

არაფინანსური აქტივების კლება	2013	2014	2015	2016	ზრდის ტემპი 2013-2014 წწ.	ზრდის ტემპი 2014-2015 წწ.	ზრდის ტემპი 2015-2016 წწ.
ძირითადი აქტივები	1 066,2	1 731,5	3 522,0	1 895,6	62,4%	103,4%	-46,2%
მატერიალური მარაგები	0	891,6	882,0	746,2	0	-1,1	-15,4%
არამწარმოებული აქტივები	1 907,6	3 134,9	11 914,6	15 148,6	64,3%	280,1%	27,1%
ჯამი	2 973,8	4 758,2	16 318,6	17 790,4	60,0%	243,0%	9,0%

ცხრილი N7. 2013-2016 წლებში არაფინანსური აქტივების კლების შესრულების დინამიკა (ათასი ლარი).

ფინანსური აქტივების კლების მუხლით, 2016 წელს რესპუბლიკურ ბიუჯეტში ჩარიცხულია 689,2 ათასი ლარი, რაც საბიუჯეტო გეგმის 99,9 პროცენტია. აღნიშნული, შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონალური ცენტრისა“ და შპს „თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრის“, ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული 100 პროცენტის წილის გასხვისებით მიღებული თანხაა.

9. მხარჯავი დაწესებულებების მიერ ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, 2016 წელს მხარჯავი დაწესებულებების მიერ ეკონომიკური

საქმიანობის შედეგად მიღებულია სულ 5 488,6 ათასი ლარი, რომელთა ხარჯვის შესახებ ინფორმაცია 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში არ არის მოყვანილი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, ბიუჯეტის ანგარიშგების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილად მიაჩნია ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში მოიცავდეს ინფორმაციას წლის განმავლობაში მხარჯავი დაწესებულებების მიერ ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული თანხების გამოყენების შესახებ.


10. გადასახდელები

2016 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, გადასახდელების საპროგნოზო მოცულობა 231 884,2 ათასი ლარიდან, 38 617,2 ათასი ლარით, 193 267,0 ათას ლარამდე შემცირდა. 2016 წელს გადასახდელების საკასო ხარჯმა 186090,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 96,3 პროცენტია და 16059,2 ათასი ლარით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

დასახელება	2016 წლის გეგმა	2016 წლის შესრულება	შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან
ხარჯები	149 209,6	143 320,9	96,1%
შრომის ანაზღაურება	38 630,1	38 176,0	96,2%
საკონელი და მომსახურება	27 125,2	25 439,0	93,8%
პროცენტები	540,5	308,0	57,0%
სუბსიდიები	3 413,5	3 224,0	94,4%
გრანტები	50 489,9	49 125,5	97,3%
სოციალური უზრუნველყოფა	9 133,7	9 002,3	98,6%
სხვა ხარჯები	19 876,6	18 046,1	90,8%
არაფინანსური აქტივების ზრდა	38 032,4	36 830,6	96,8%
ფინანსური აქტივების ზრდა	4 400,0	4 400,0	100%
ვალდებულების კლება	1 625,1	1 539,1	94,7%
ჯამი	193 267,0	186 090,6	96,3%

ცხრილი N8. 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების კომპონენტების შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი).

გადასახდელების ცალკეული კომპონენტების შესრულების წილი, ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ მაჩვენებლებთან მიმართებაში, 2015-2016 წლებისათვის წარმოდგენილია დიაგრამაზე.




დიაგრამა N6. 2015-2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება (%).

11. ხარჯები


გადასახდელების სახით გადახდილი თანხების ფაქტიური მოცულობის 77,0 პროცენტი - 143 320,9 ათასი ლარი ხარჯებმა შეადგინა, რაც წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მოცულობის 96,1 პროცენტს შეადგენს. ამავე პერიოდში სხვა გადასახდელების სახით გადახდილი იქნა 42 769,7 ათასი ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში, პროგნოზთან (149 209,6 ათასი ლარი) შედარებით, დაუფინანსებელი ხარჯების მოცულობამ 5 888,7 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის: შრომის ანაზღაურების მუხლი დაუფინანსებელია 454,1 ათასი ლარით, დაუფინანსებელი საერთო თანხის 7,7 პროცენტი; საქონელისა და მომსახურების მუხლი - 1 686,2 ათასი ლარით, დაუფინანსებელი საერთო თანხის 28,6 პროცენტი; პროცენტები - 232,5 ათასი ლარით, დაუფინანსებელი საერთო თანხის 3,9 პროცენტი; სუბსიდიები - 189,5 ათასი ლარით, დაუფინანსებელი საერთო თანხის 3,2 პროცენტი; გრანტები - 1 364,5 ათასი ლარით, დაუფინანსებელი საერთო თანხის 23,2 პროცენტი; სოციალური უზრუნველყოფის მუხლი - 131,4 ათასი ლარით, დაუფინანსებელი

საერთო თანხის 2,2 პროცენტი და სხვა ხარჯების მუხლი - 1 830,5 ათასი ლარით, დაუფინანსებელი საერთო თანხის 31,2 პროცენტი.



დიაგრამა N7. 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯების კომპონენტების განაწილება %.



დიაგრამა N8. 2016 წლის ხარჯების გეგმის კომპონენტების განაწილება %

2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, გაზრდილია ხარჯები, ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის ისეთი მუხლების მიხედვით როგორიცაა: შრომის ანაზღაურების მუხლი - 3 041,5 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლი - 3 240,2 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლი - 685,5 ათასი ლარით, გრანტები - 19 969,3 ათასი ლარით და სოციალური უზრუნველყოფა - 2 262,5 ათასი ლარით. ამავე დროს ხარჯები შემცირებულია პროცენტის მუხლით - 59,6 ათასი ლარით და სხვა ხარჯების მუხლით - 18 209,8 ათასი ლარით.

12. არაფინანსური აქტივების ზრდა

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 2016 წელს გახარჯულია 36 830,6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 96,8 პროცენტია. 2016 წელს ამ მუხლით გაწეული საკასო ხარჯი 3 560,9 ათასი ლარით მეტია, 2015 წლის საკასო ხარჯზე.

13. ფინანსური აქტივების ზრდა

ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 2016 წელს გახარჯულია 4 400,0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 100 პროცენტია და ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული შპს „ჰიგიენა 2009-ის“ საწესდებო კაპიტალის ზრდამ განაპირობა.

14. ვალდებულებების კლება

ვალდებულებების კლების მუხლით 2016 წელს გახარჯულია 1 539,1 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 94,7 პროცენტია. 2016 წელს ამ მუხლით გაწეული საკასო ხარჯი 608,3 ათასი ლარით ნაკლებია 2015 წლის საკასო ხარჯზე.

15. გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია

ცალკეული ორგანიზაცია-დაწესებულებებისა და პროგრამების მიხედვით (დაქვემდებარებული მხარჯავი დაწესებულებების ჩათვლით), 2016 წლის ბიუჯეტის გეგმის შესრულება შემდეგი სახისაა:

N	დასახელება	გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულების პროცენტი
1	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	4957,0	4866,8	90,2	98,2%
2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია	3313,1	3250,5	62,8	98,1%
3	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	54721,7	53216,8	1504,9	97,2%
4	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	12251,2	11174,2	1077,0	91,2%
5	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	40497,6	38777,8	1719,8	95,8%
6	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	14599,0	14423,6	175,4	98,8%
7	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	8247,2	8008,2	239,0	97,1%
8	საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები	54680,1	52372,7	2307,4	95,8
ჯამი		193267,0	186090,6	7176,4	96,3%

ცხრილი N9. 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ (ათასი ლარი)

საყურადღებოა, რომ 2016 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში, საბიუჯეტო წლის ბოლოს განხორციელებული ცვლილების³ შედეგად, შეიცვალა 149 პროგრამისა და ქვეპროგრამის ასიგნებები, რითაც საერთო ჯამში რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა 38 617,2 ათასი ლარით შემცირდა, თუმცა მიუხედავად ამისა, ადგილი აქვს ცალკეული პროგრამებისა და ქვეპროგრამების გეგმის ათვისების დაბალ მაჩვენებლებს.

კოდი	პროგრამების დასახელება	2016 წლის გეგმა	ათვისება (%)
030206	ეკოლოგიური განათლების ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება	15,0	73,0%
03030104	ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ორგანიზაციული განვითარება	60,0	53,3%
050405	უცხოეთში სტაჟირების პროგრამა	11,1	52,7%
05120703	კულტურის პროდუქტების მარკეტინგი	24,0	0%
090701	აჭარის წყალმომარაგებისა და წყალანირების სისტემების რეაბილიტაცია	181,7	49,0%


ცხრილი N10. რიგი ქვეპროგრამების შესრულება (ათასი ლარი).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია ყურადღება დამატებით გამახვილდეს იმ პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაგეგმვისა და შესრულების ეტაპებზე, რომელსაც 2016 წლის შესრულების პროცესთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის სირთულეები ახასიათებდათ. აღნიშნული ხელს შეუწყობს, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის საბიუჯეტო გეგმით გათვალისწინებული ასიგნებების ათვისებასა და შესაბამისად დასახული მიზნების შესრულებას.

16. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

წლიური ბიუჯეტის დანახარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 2016 წელს დაგეგმილი გადასახდელების საკასო შესრულებამ 180151,5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 96,2 პროცენტი შეადგინა.

³ ცვლილება განხორციელდა 2016 წლის 22 დეკემბრს.



დიაგრამა N9. 2016 წლის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური სტრუქტურა (%).

17. საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები

საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელების 2016 წლის საბიუჯეტო ასიგნება 54 680,1 ათასი ლარით განისაზღვრა. ამავე პერიოდის საკასო ხარჯი 52 372,7 ათას ლარს შეადგენს, რაც 2016 წლის წლიური საბიუჯეტო გეგმის 95,8 პროცენტია. რესპუბლიკური გადასახდელების სახით დაფინანსებულია:

პროგრამების დასახელება	2016 წლის გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულების %
ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური დახმარება	42 845,2	41 583,0	1 262,2	97,1%
ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარება	3 697,8	3 688,2	9,6	99,7%
სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალის ზრდა	4 400,0	4 400,0	0	100%
საწევროები საერთაშორისო ორგანიზაციებში	15,0	9,5	5,5	63,3%
სესხების მომსახურების ხარჯები	540,6	308,1	232,5	57,0%
უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით განხორციელებული საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტების თანადაფინანსების ხარჯები	1 265,8	1 163,2	102,6	91,9%
უცხოეთიდან მიღებული სესხის დაბრუნება	1 306,6	1 220,7	85,9	93,4%

ცხრილი N11. საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელების შესრულება (ათასი ლარი).

18. საბიუჯეტო ორგანიზაციებში დაგეგმვისას არსებული ხარვეზები

რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების დაგეგმვასა და შესრულებასთან დაკავშირებით, საბიუჯეტო ორგანიზაციების ჭრილში შეინიშნება ხარვეზები როგორც ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე, ასევე საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ხარჯთაღრიცხვის ცვლილებების კუთხით.

• საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადანაწილებები

მიუხედავად იმისა, რომ მხარჯავი უწყებები აკმაყოფილებენ საბიუჯეტო კოდექსით დადგენილ ლიმიტებს, საყურადღებოა, რომ მათ მიერ წლის განმავლობაში პროგრამებს/ქვეპროგრამებს და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის ასიგნებების გადანაწილება მასშტაბურობით ხასიათდება, რაც ბიუჯეტის ფორმირების პროცესში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს. კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსირებადი საბიუჯეტო დაწესებულებების მიერ 2016 წელს განხორციელდა 172 ხარჯთაღრიცხვის ცვლილება, საერთო თანხით 5 289,4 ათასი ლარი. მათ შორის: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციებში 39 ცვლილება, საერთო თანხით 749,7 ათასი ლარი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში 40 ცვლილება, საერთო თანხით 500,5 ათასი ლარი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში 47 ცვლილება, საერთო თანხით 1 735,3 ათასი ლარი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 15 ცვლილება, საერთო თანხით 1 728,9 ათასი ლარი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში 25 ცვლილება, საერთო თანხით 467,6 ათასი ლარი.

რიგ შემთხვევებში, ადგილი აქვს ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრების გადანაწილებას სხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, რაც პროგრამების ბიუჯეტის არასათანადო გაანგარიშებებზე მიუთითებს, მაგალითად:

- ✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებების - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის პროგრამის - „აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე“ ქვეპროგრამის - „რეგიონის როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის მარკეტინგი საერთაშორისო ბაზარზე“, საქონელისა და მომსახურების მუხლიდან 217,5 ათასი ლარი, პროგრამის - „ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარება“ ქვეპროგრამის - „ადამიანური რესურსების განვითარება და ტურიზმის სფეროში ცნობიერების ამაღლება“, საქონელი და მომსახურების მუხლიდან 5,0 ათასი ლარი და ქვეპროგრამის - „ტურიზმის დარგში მომსახურების საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობა“, საქონელისა და მომსახურების მუხლიდან 23,5 ათასი ლარი, სულ 246,0 ათასი ლარი გადატანილია პროგრამის „ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარება“ ქვეპროგრამის „ტურისტული პროდუქტების განვითარება და დივერსიფიკაცია“ საქონელი და მომსახურების მუხლში. აღნიშნული გადანაწილების მიზეზად საახალწლო ღონისძიების ორგანიზება სახელდება;
- ✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებების - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის პროგრამის - „ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობა“, საქონელისა და მომსახურების მუხლიდან 19,0 ათასი ლარი, გადატანილია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ადმინისტრაციის არაფინანსური აქტივების მუხლში, კომპიუტერის ლიცენზირებული პროგრამების შესყიდვისათვის, ხოლო 57,5 ათასი ლარი გადატანილია ქვეპროგრამის - „სათამაშო და ინდივიდუალურ სახეობათა განვითარების ხელშეწყობა“ სუბსიდიის მუხლში, სასწავლო-საწვრთნო შეკრების ჩატარების მიზნით.

19. შრომის ანაზღაურება

2016 წლის თავდაპირველი ბიუჯეტის კანონით, შრომის ანაზღაურების მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ოდენობამ 39 191,6 ათასი ლარი შეადგინა, თუმცა კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად 561,5 ათასი ლარით შემცირდა და 38 630,1 ათასი ლარის დონეზე დაფიქსირდა. 2016 წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან შტატით გათვალისწინებულ საჯარო მოხელეთა შრომის ანაზღაურებაზე მიმართული

იქნა 38 176,0 ათასი ლარი, რაც რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯების 26,6 პროცენტს, ხოლო გადასახდელების 20,5 პროცენტს შეადგენს. 2015 წელთან მიმართებაში „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯების მოცულობა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

შრომის ანაზღაურება	2015 წ.	2016 წ.	ზრდის ტემპი 2015-2016 წწ.
შრომის ანაზღაურება	35 134,5	38 176,0	8,7%
ხელფასები ფულადი ფორმით - თანამდებობრივი სარგო	24 912,3	26 094,0	4,7%
ხელფასები ფულადი ფორმით - პრემია	4 892,5	5 359,5	9,5%
ხელფასები ფულადი ფორმით - დანამატი	4 763,1	6 150,9	29,1%
ხელფასები ფულადი ფორმით - კომპენსაცია	566,6	571,6	0,9%

ცხრილი N12. „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯები შემადგენელი კომპონენტების დონეზე (ათასი ლარი).

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2015 წელთან შედარებით, ჯამურად „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გახარჯული სახსრების მოცულობა ყველა კომპონენტის მიხედვით გაზრდილია.

ზემოაღნიშნული გვიჩვენებს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 1 აგვისტოს N27 დადგენილების ამოქმედებამ შეზღუდა საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ პირებზე პრემიის სახით გაცემული თანხების ოდენობა, თუმცა ამავე დროს, აღნიშნული რეგულაციის ძალაში შესვლის შემდეგ, გაიზარდა „დანამატის“ მუხლით გაცემული საბიუჯეტო სახსრების მოცულობა. ამასთან, მხარჯავ დაწესებულებებში დანამატის გაცემა ხდება შესაბამისი დასაბუთების გარეშე, ან მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი მუხლის მითითებით. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებზე პრემიისა და დანამატის გაცემის საკითხი შემდგომ დარეგულირებას მოითხოვს.

20. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდის მოცულობა, 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, 4 000,0 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა. თუმცა, ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილების

შედეგად, ფონდის წლიური გეგმა 3 780,0 ათას ლარამდე შემცირდა. რაც შეეხება ათვისებას, ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 3 170,8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 83,9 პროცენტს უტოლდება. სარეზერვო ფონდიდან თანხები ძირითადად ფიზიკურ პირებზე მატერიალური დახმარებისა და სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი. სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები შემდეგნაირად გადანაწილდა:

მხარჯავი დაწესებულებები	თანხა
აჭარის ა.რ. მთავრობის აპარატი	1 208,0
აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო	700,0
აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	19,7
აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	541,0
მუნიციპალიტეტები	702,1
ჯამი	3 170,8

ცხრილი N13. რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების განაწილება (ათასი ლარი).

საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით⁴, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სახსრები გამოიყოფა რესპუბლიკური ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად“. აღნიშნული რეგულაცია მიზნად ისახავს სახელმწიფოს სრულყოფილი ფუნქციონირების უზრუნველყოფას იმ გადასახდელების დაფინანსებით, რომელთა გათვალისწინება ობიექტური გარემოებების გამო, რესპუბლიკური ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე შეუძლებელია. მაგალითად, სტიქიის შედეგების ან ცალკეული პირობითი ვალდებულებების დაფინანსება. 2016 წელს, ისევე როგორც 2015 წელს, რიგ შემთხვევებში ხდებოდა სახსრების მიმართვა იმ გადასახდელების დასაფინანსებლად, რომელთა

⁴ 90-ე მუხლის 1 პუნქტი.

გათვალისწინება შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებებში, სათანადოდ დაგეგმვის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა. მაგალითად:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2016 წლის 19 აპრილის N117 განკარგულებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტს, 2016 წლის მაისში, ქ. ბათუმში „მსოფლიო თასი კარატეში“ ორგანიზების ხარჯების დაფინანსების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 11,0 ათასი ლარი. აღნიშნული ღონისძიება არ განეკუთვნება გაუთვალისწინებელ - მოულოდნელ მოვლენას და შესაბამისად შესაძლებელი იყო აღნიშნული თანხა, ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე, გათვალისწინებული ყოფილიყო მხარჯავი დაწესებულების ასიგნებებში;

- ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლების წაბლანისა და წაბლიანის მოსახლეობის მიერ შექმნილი ერთობლივი საქმიანობის ბინათმშენებლობის ამხანაგობა „წაბლანა 2015-ის“ მიერ, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის თანადაფინანსების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2016 წლის 20 იანვრის N12 განკარგულებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 1 150,0 ათასი ლარი. აღნიშნული ღონისძიება, ასევე არ განეკუთვნება გაუთვალისწინებელ - მოულოდნელ მოვლენას და შესაბამისად, შესაძლებელი იყო აღნიშნული თანხა, ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე, გათვალისწინებული ყოფილიყო მხარჯავ დაწესებულების ასიგნებებში.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ურთიერთგაგების მემორანდუმით არ არის განსაზღვრული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ვადები, მისი განხორციელების ეტაპები, მშენებლობის გაჭიანურების-დაუსრულებლობის შემთხვევაში, პასუხისმგებლობისა და ბენეფიციართა ეფექტური დაცვის მექანიზმები. ზემოაღნიშნულისა და მშენებლობის მიმდინარეობის მდგომარეობამ, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას პროექტის განხორციელებასა და ბენეფიციართა საბინაო პრობლემების მოგვარებას.

21. რეკომენდაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს

- საბიუჯეტო პარამეტრების განსაზღვრისას, მიზანშეწონილია ყურადღება გამახვილდეს გასულ წლებში შემოსულობების შესაბამის კომპონენტებში ფაქტიურად მიღებულ თანხებსა და რეგიონის ეკონომიკური ზრდის ტენდენციებზე;
- მიზანშეწონილია მოხდეს ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ყველა საწარმოს (ფუნქციონირებადი თუ არაფუნქციონირებადი) აღრიცხვა და მათი აქტივების და პასივების შესახებ ინფორმაციის განახლება. ფუნქციონირებად საწარმოებში თაღლითობისა და კანონთან შეუსაბამო საქმიანობის პრევენციის და საწარმოს მენეჯმენტის ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით, უნდა მოხდეს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების დანერგვა;
- ბიუჯეტის ანგარიშგების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში მოიცავდეს ინფორმაციას წლის განმავლობაში მხარჯავი დაწესებულებების მიერ ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული თანხების გამოყენების შესახებ.

მხარჯავ დაწესებულებებს

- მიზანშეწონილია დამატებითი ყურადღება გამახვილდეს იმ პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაგეგმვისა და შესრულების ეტაპებზე, რომელსაც 2016 წლის შესრულების პროცესთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის სირთულეები ახასიათებდათ. აღნიშნული ხელს შეუწყობს, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის, საბიუჯეტო გეგმით გათვალისწინებული ასიგნებების ათვისებასა და შესაბამისად დასახული მიზნების შესრულებას;
- აუცილებელია, დამატებითი ყურადღება მიექცეს წლის განმავლობაში პროგრამებს/ქვეპროგრამებს შორის საბიუჯეტო სახსრების განაწილების საკითხს და ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მხედველობაში იქნეს მიღებული გასული წლების გამოცდილება;

- შემუშავებულ იქნეს ქმედითი მექანიზმი საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებზე პრემიისა და დანამატის გაცემის საკითხის დარეგულირების მიზნით, ამასთან დამატებით განისაზღვროს ის კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირზე დანამატის გაცემის დასაბუთება, რაც ხელს შეუწყობს როგორც თანამშრომელთა სტიმულირების ჯანსაღი სისტემის ჩამოყალიბებას, ასევე საბიუჯეტო რესურსების ხარჯვის გამჭვირვალობის ზრდას;
- აუცილებელია, მოხდეს წლის განმავლობაში განხორციელებელი ღონისძიებებისა და შესაბამისი ასიგნებების ოდენობების დროული განსაზღვრა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სარეზერვო ფონდიდან ისეთი დანახარჯების დაფინანსება, რომელთა გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე იყო შესაძლებელი.